ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

დასკვნა:**დ12. 3724176001**
თარიღი:**26/06/2024**

დ ა ს კ ვ ნ ა

მიმდინარე წლის 21 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

კომისიამ აღნიშნა, რომ ცვლილება შეტანილ იქნა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში (ა,ბ,გ) ,,„გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება“ , მე-11 მუხლის 1-პუნქტის ა) ქვეპუნქტში ,, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება" და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1.პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება, რომელიც განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მერის მიერ შექმნილი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების სამუშაო ჯგუფი/კომისია.

2.პროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტების მომსახურეობას ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში. ბიუჯეტი განისაზღვრება სპეციალისტების ტრასპორტირების ხარჯების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, ტერიტორიული პრინციპით, თითოეულ განხორციელებულ ვიზიტზე (307 ლარი) 12 თვის განმავლობაში, თვეში არაუმეტეს 8 ვიზიტისა ერთ ბენეფიციარზე, ჯამში 30240 ლარის ოდენობით.

კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა დადგენილების პროექტში ცვლილებების შეტანას და მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული პროექტის წარდგენა ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზეგანხილვა-დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი